



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული  
სააგენტოს  
გენერალური დირექტორი

23 სექტემბერი 2016 წ.

ბრძანება № 2/305

ქ. თბილისი

კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტებისათვის  
კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების  
თაობაზე


საქართველოს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე, 53-ე მუხლების, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული 2015 წლის 30 ოქტომბრის №02 ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირველი მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი ამ ბრძანების დანართში მითითებულ ობიექტებს.
2. დაევალოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საინფორმაციო სისტემების სამსახურს ამ ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების მონაცემების ძეგლთა სახელმწიფო რეესტრში ასახვა.
3. დაევალოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს იურიდიულ სამსახურს ამ ბრძანების საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ოფიციალურ ვებ გვერდზე გამოქვეყნების მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების უზრუნველყოფა.
4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა N4).

გენერალური დირექტორი







ნიკოლოზ ანთიძე

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის  
დაცვის ეროვნული სააგენტოს  
გენერალური დირექტორის

23.09.2016 წლის № 2/305 ბრძანების

დანართი

№	ფოტო	სახელწოდება	ადგილმდებარეობა	სახეობა	თარიღი
1.		გოგირიძეების სახლი	ონის მუნიციპალიტეტი, ქ. ონი, ტაბიძის ქ. 6	არქიტექტურის	XIX-XX სს. მიჯნა
2.		ვენახჯალის კოშკი	ბაღდათის მუნიციპალიტეტი, ხანის თემის სოფ. ვენახჯალა	არქიტექტურის / არქეოლოგიური	განვითარებული შუასაუკუნეები
3.		საცხოვრებელი სახლი	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭინკაძეები	არქიტექტურის / ეთნოგრაფიული	XIX-XX სს.
4.		„თევდორე წმინდანის“ ეკლესია	ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხატის სოფელი (სოფ. ხატის სოფლიდან 5კმ-ზე სამხრეთ-დასავლეთით.)	არქიტექტურის	VI ს. XII-XIII სს.

